საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05

ქ. ბათუმი 29 ნოემბერი, 2016 წ.

„ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულების განხილვის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის №05 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობისა და განათლების ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №101 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულების დამტკიცების დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 16 დეკემბრის №05 გადაწყვეტილება;
2. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს ფაკულტეტების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 29 ოქტომბრის №07 გადაწყვეტილების დანართში 2-ში, კერძოდ,

ა) მე-2 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3.1. განათლებისმიმართულებით აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის(ბაკალავრიატი,მაგისტრატურა და დოქტორანტურა), მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. ფაკულტეტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი;

ბ) ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი“.

გ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებია:
ა) პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი;
ბ) ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი“.

დ) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

1. ფაკულტეტის ერთ-ერთი სასწავლო-სტრუქტურული ერთეულია ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“), რომლის ხელმძღვანელი, ისევე როგორც სხვა დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება რექტორის ბრძანებით, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ცენტრის საქმიანობა წარიმართება უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.
2. ცენტრის ფუნქციებია:

2.1 უცხო ენის მიმართულებით:

ა)ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენების (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული, თურქული, იტალიური და სხვა) პრაქტიკული კურსების (გარდა დამატებითი სპეციალობის ფარგლებში შესავლისა) განხორციელება პროფესიულისტუდენტებისათვის და საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის;

ბ) ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის სასწავლო-მეთოდური საქმიანობის განხორციელება;

გ) სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ფარგლებში უცხო ენის გამოცდის ჩატარება (ტესტის მომზადება და სხვა);

დ) სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში (გაცვლით პროგრამაში სტუდენტთა მონაწილეობა თუ სხვა) ბსუ-ს სტუდენტთა უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით გამოცდების ჩატარება.

2.2 საინფორმაციო ტექნოლოგიური მიმართულებითსაინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკული კურსის სწავლება - საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისათვის“;

ე) მე-11 და მე-12 მუხლები ამოღებული იქნება.

ვ) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

1. *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.*
2. *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო-სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს.*
3. *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.*
4. *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი“.*

3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს განათლების ფაკულტეტს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კანცელარიას).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი დ.ბარათაშვილი